გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632318412**
თარიღი:**03/07/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე 28.25 კვ.მ ფართის - სამედიცინო ამბულატორიის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.500 და 41.81 კვ.მ ფართის - სამედიცინო ამბულატორიის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.502, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 108–ე მუხლის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 03 მაისის №5/24490 მომართვის, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2023 წლის 01 მაისის №1000395 7 23 00459701 მიმართვის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 18 ივლისის MOH 0 22 00114172 მიმართვის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე 28.25 კვ.მ ფართის - სამედიცინო ამბულატორიის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.500 და 41.81 კვ.მ ფართის - სამედიცინო ამბულატორიის, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.502, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე 28.25 კვ.მ ფართი - სამედიცინო ამბულატორია, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.500;

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაბაკევში მდებარე 41.81 კვ.მ ფართი - სამედიცინო ამბულატორია, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019.01.502.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი